

**საქართველოს ორგანული კანონი
„ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში
დამატებების შეტანის თაობაზე**

მუხლი 1. „ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ“ საქართველოს ორგანულ კანონში (საქართველოს საკანონმდებლო მაცნე №2, 09.01.2006, მუხ. 12) შევიდეს შემდეგი დამატებები:

1. კანონის პირველი მუხლის „ზ.გ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ზ.გ) თვითმმართველი ქალაქის ნაწილი (უბანი);“.

2. კანონის მე-3 მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. ქალაქ თბილისში ადგილობრივი თვითმმართველობის განხორციელების წესი და თვითმმართველობის ორგანოების უფლებამოსილებანი განისაზღვრება „საქართველოს დედაქალაქის – თბილისის შესახებ“ საქართველოს კანონით.“.

3. კანონის მე-16 მუხლის მე-2 პუნქტის „ი“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ი) ადგილობრივი სამგზავრო გადაყვანების რეგულირება;“.

3. კანონის მე-16 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. დაუშვებელია თვითმმართველი ერთეულის მიერ ექსკლუზიური ან ნებაყოფლობითი უფლებამოსილებების იმგვარი გამოყენება, რომელმაც შეიძლება გამოიწვიოს საქართველოს საკანონმდებლო აქტის მოთხოვნათა დარღვევა, მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების, სახელმწიფო უსაფრთხოების, კულტურული მემკვიდრეობის ობიექტების ხელყოფა, სახელმწიფო ორგანოების, აგრეთვე ორგანიზაციებისა და დაწესებულებების გამართული ფუნქციონირების შეფერხება.“.

4. კანონის მე-16 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-4 პუნქტი:

„4. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და თანამდებობის პირების მიერ ამ ექსკლუზიური ან ნებაყოფილებითი უფლებამოსილებების იმგვარი გამოყენების შემთხვევაში, რომლითაც ზიანი ადგება სახელმწიფო უსაფრთხოებას, კულტურული მემკვიდრეობის დაცვას, სახელმწიფო ორგანოების, აგრეთვე ორგანიზაციებისა და დაწესებულებების გამართულ ფუნქციონირებას, მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელებას, ან იწვევს გამოუსწორებელ, მძიმე ზიანს, ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის განმანხორციელებელ შესაბამის ორგანოს უფლება აქვს უზრუნველყოს ზიანის აღკვეთის ან/და თავიდან აცილებისათვის სათანადო ღონისძიებების განხორციელება, რაც შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.“.

5. კანონის 22-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 22. საკრებულოს განსაკუთრებული უფლებამოსილება

1. საკრებულოს განსაკუთრებულ უფლებამოსილებას განეკუთვნება:

ა) საკრებულოს თავმჯდომარისა და საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის არჩევა;

ბ) საკრებულოს კომისიების შექმნა, კომისიათა თავმჯდომარეების არჩევა, კომისიების დებულებებისა და პერსონალური შემადგენლობის დამტკიცება და მასში ცვლილებების შეტანა;

გ) საკრებულოს დროებითი სამუშაო ჯგუფების შექმნა და გაუქმება, სამუშაო ჯგუფების პერსონალური შემადგენლობის დამტკიცება და მასში ცვლილებების შეტანა;

დ) საკრებულოს წევრთა უფლებამოსილების ცნობისა და უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის გადაწყვეტილებების მიღება;

ე) ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელი ორგანოებისა და თანამდებობის პირების საქმიანობის კონტროლი, მათი ანგარიშების მოსმენა და შეფასება;

ვ) გამგებლის (მერის) თანამდებობაზე არჩევა და თანამდებობიდან განთავისუფლება;

ზ) თვითმმართველ ერთეულში ადმინისტრაციული ერთეულების შექმნა, მათი საზღვრების დადგენა და მათი გაუქმება;

თ) საკრებულოს დებულების (რეგლამენტის) და საკრებულოს აპარატის დებულებების დამტკიცება; გამგებლის (მერის) წარდგინებით) გამგეობის (მერიის) და მათი სტრუქტურული ერთეულების დებულებების დამტკიცება;

ი) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი ნორმატივების ფარგლებში ადგილობრივი თვითმმართველობის მოსამსახურეთა თანამდებობრივი სარგოს განაკვეთების განსაზღვრა;

კ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით და დადგენილ ვადებში, საკრებულოს თავმჯდომარის წარდგინებით, გამგებლის (მერის) მიერ მომზადებული თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის განხილვა, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, მისი დამტკიცება, ბიუჯეტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, ბიუჯეტის შესრულების ანგარიშის მოსმენა და შეფასება;

ლ) საკრებულოს თავმჯდომარის წარდგინებით, გამგებლის (მერის) მიერ მომზადებული თვითმმართველი ერთეულის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტების, პერსპექტიული გეგმებისა და პროგრამების დამტკიცება და მათი შესრულების კონტროლი;

მ) გამგებლის (მერის) წარდგინებით, ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების შემოღება და განაკვეთების განსაზღვრა კანონით გათვალისწინებული ზღვრული ოდენობების ფარგლებში;

ნ) გამგებლის (მერის) წარდგინებით, ადგილობრივი სამგზავრო გადაყვანის, გარე ვაჭრობის, გარე რეკლამის განთავსების მარეგულირებელი ნორმების დადგენა;

ო) გამგებლის (მერის) წარდგინებით, თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული ტყის და წყლის რესურსების მართვის წესის განსაზღვრა საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად;

პ) გამგებლის (მერის) წარდგინებით, თვითმმართველი ერთეულის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა და ამ მიზნით თვითმმართველი ერთეული ზონებად დაყოფა, მათი საზღვრების დადგენა და შეცვლა; კანონით გათვალისწინებული ქალაქმშენებლობის დოკუმენტების დამტკიცება;

ჟ) გამგებლის (მერის) წარდგინებით, თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე ადგილობრივი მნიშვნელობის მნიშვნელობის საავტომობილო გზებისა და საგზაო მოძრაობის დაგეგმარება კანონმდებლობით დადგენილი წესით;

რ) შეკრებების, მიტინგების, დემონსტრაციების ჩატარებასთან დაკავშირებული საკითხების რეგულირება საქართველოს კანონმდებლობით განსაზღვრული წესით;

ს) გამგებლის (მერის) წარდგინებით, ადგილობრივი შესყიდვების გეგმის დამტკიცება;

ტ) გამგებლის (მერის) წარდგინებით, ქუჩების, მოედნების სახელდება და ნუმერაცია;

უ) საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით გრანტის მიღებასთან დაკავშირებით, აგრეთვე საქართველოს მთავრობისაგან ან საქართველოს მთავრობის ნებართვით სესხის აღებასთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღება;

ფ) კანონით განსაზღვრულ შემთხვევებში თანხმობის მიცემა თვითმმართველი ერთეულის სახელით შეთანხმებებისა და ხელშეკრულებების დადებაზე;

ქ) გამგებლისთვის (მერისთვის) თანხმობის მიცემა ისეთი გარიგებების დადებაზე, რომელთა ღირებულება აღემატება თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის 5%-ს;

ღ) ამ კანონით გათვალისწინებული სხვა უფლებამოსილებები.

2. ამ მუხლით გათვალისწინებული საკრებულოს უფლებამოსილებები არ შეიძლება გადაეცეს სხვა ორგანოებს.

6. კანონის 33-ე მუხლის მე-2 პუნქტის „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული წესით და დადგენილ ვადებში, საკრებულოში დასამტკიცებლად წარადგენს გამგებლის (მერის) მიერ მომზადებულ თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის (ბიუჯეტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის) პროექტს, თვითმმართველი ერთეულის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტების, პერსპექტიული გეგმებისა და პროგრამების პროექტებს;“.

7. კანონის 37-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. საკრებულოს აპარატის დებულებას ამტკიცებს საკრებულო.“.

8. კანონის 37-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 2¹ პუნქტი:

„2¹. საკრებულოს აპარატის საშტატო ნუსხას ამტკიცებს საკრებულოს თავმჯდომარე.“.

9. კანონის 38-ე მუხლის მე-4 და მე-5 პუნქტები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. გამგეობის (მერიის) დებულებას გამგებლის (მერის) წარდგინით ამტკიცებს საკრებულო.“.

5. გამგეობის (მერიის) სტრუქტურული ერთეულები (სამსახურები, გამგეობის (მერიის) აპარატი) შესაბამისი სფეროების მიხედვით აღასრულებენ საკრებულოს და გამგებლის (მერის) გადაწყვეტილებებს ან/და კოორდინაციას უწევენ მის შესრულებას.“.

10. კანონის 39-ე მუხლის:

ა) „ბ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ბ) შეიმუშავეს და საკრებულოს დასამტკიცებლად წარუდგენს გამგეობის (მერიის) დებულებას, გამგეობის (მერიის) სტრუქტურული ერთეულების და ტერიტორიული ორგანოების დებულებებს;“;

ბ) „დ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„დ) ამზადებს თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტს, დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის, აგრეთვე ადგილობრივი გადასახადებისა და ადგილობრივი მოსაკრებლების შემოდების ცვლილებებისა და გაუქმების თაობაზე, აგრეთვე ნორმატიული აქტების პროექტებს, აგრეთვე თვითმმართველი ერთეულის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების პრიორიტეტების, პერსპექტიული გეგმებისა და პროგრამებს და საკრებულოს მიერ დასამტკიცებლად მათ

წარუდგენს საკრებულოს თავმჯდომარეს; უფლებამოსილია დამტკიცებულ ბიუჯეტში ცვლილებების შეუტანლად „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-16 მუხლის მე-8 და 8¹ პუნქტების შესაბამისად გადაანაწილოს თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტით გამოყოფილი ასიგნებები;“;

გ) „ვ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ვ) ამტკიცებს გამგეობის (მერიის) შინაგანაწესს, თანამდებობრივ ინსტრუქციებს და მოსამსახურეთა შორის ფუნქციების განაწილებას; ამტკიცებს გამგეობის (მერიის) საშტატო ნუსხას;“;

დ) „ლ“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ლ) უზრუნველყოფს თვითმმართველი ერთეულის ექსკლუზიური უფლებამოსილებების განხორციელებასთან დაკავშირებული მოქმედებების შესრულებას;“.

11. კანონის მე-40 მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. საკრებულოს შეუძლია თანამდებობიდან გაანთავისუფლოს გამგებელი (მერი), თუ მისი თანამდებობიდან განთავისუფლების საკითხს დასვამს საკრებულოს თავმჯდომარე ან საკრებულოს წევრთა სრული შემადგენლობის ერთ მეხუთედი და ამ გადაწყვეტილებას მხარს დაუჭერს საკრებულოს სიითი შემადგენლობის ნახევარზე მეტი. გამგებლის (მერიის) თანამდებობიდან განთავისუფლების საკითხი დღის წესრიგში შეიტანება რიგგარეშედ, ხოლო აღნიშნულ საკითხზე კენჭისყრა ტარდება საკითხის დასმიდან არა უადრეს 1 თვისა.“.

12. კანონის მე-40 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის 3¹ პუნქტი:

„3¹. საკრებულო უფლებამოსილია, „ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით განმეორებით წარდგენილი თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტის პროექტის ახალი ვარიანტის მის მიერ დაუმტკიცებლობის შემთხვევაში, სიითი შემადგენლობის 2/3-ით დაამტკიცოს საკრებულოს თავმჯდომარის მიერ წარდგენილი ბიუჯეტის პროექტი შესაბამისი წლის საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ საქართველოს კანონის მიღებიდან არა უგვიანეს 2 თვისა და განიხილოს გამგებლის (მერიის) თანამდებობიდან განთავისუფლების საკითხი.“.

13. კანონის მე-40 მუხლიდან ამოღებულ იქნეს მე-7 პუნქტი.

14. კანონის მე-40 მუხლის მე-9 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„9. ამ მუხლის მე-3 და 3¹ პუნქტის გარდა, უფლებამოსილების სხვა საფუძველით შეწყვეტის შემთხვევაში, საკრებულო ამ კანონით დადგენილი წესით ირჩევს ახალ გამგებელს (მერს) 1 თვის ვადაში.“.

15. კანონის 42-ე მუხლის მე-2 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„2. რწმუნებული თავის უფლებამოსილებას ახორციელებს თვითმმართველ ერთეულის შესაბამის ადმინისტრაციულ ერთეულში.“.

16. კანონის 44-ე მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის მე-5 პუნქტი:

„5. თუ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და თანამდებობის პირების გადაწყვეტილებით ზიანი ადგება სახელმწიფო უსაფრთხოებას, კულტურული მემკვიდრეობის დაცვას, სახელმწიფო ორგანოების, აგრეთვე ორგანიზაციებისა და დაწესებულებების გამართულ ფუნქციონირებას, მოქალაქეთა კონსტიტუციური უფლებებისა და თავისუფლებების განხორციელებას, ან ეს გადაწყვეტილება იწვევს გამოუსწორებელ, მძიმე ზიანს, ადგილობრივი თვითმმართველობის საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის განმახორციელებელ შესაბამის ორგანოს უფლება აქვს შეაჩეროს ან გააუქმოს ეს გადაწყვეტილება. ზედამხედველობის ორგანოს გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს სასამართლოში საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.“.

17. კანონის 48-ე მუხლის მე-3 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„3. ადგილობრივი თვითმმართველობის აღმასრულებელ ორგანოს უფლება აქვს საზოგადოებრივი მომსახურების გაწევის მიზნით შექმნას კანონით დადგენილი ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის იურიდიული პირი.“.

18. კანონის 50-ე მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. ადგილობრივი გადასახადებისა და მოსაკრებლების ოდენობებს გამგებლის (მერის) წარდგინებით განსაზღვრავს საკრებულო საქართველოს კანონმდებლობით დაწესებული ზღვრული განაკვეთების გათვალისწინებით. თვითმმართველი ერთეულის ბიუჯეტში ადგილობრივი გადასახადების ამოღებას უზრუნველყოფენ საგადასახადო ორგანოები საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, ხოლო თვითმმართველი ერთეულის სხვა შემოსავლებისა და არაფინანსურ აქტივებზე განხორციელებული ოპერაციებიდან მისაღები სახსრების ამოღებას დ შესაბამისი თვითმმართველი ერთეულის სამსახურები, თუ საქართველოს კანონმდებლობით სხვა რამ არ არის დადგენილი.“.

19. კანონის 56-ე მუხლი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„მუხლი 56. ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოთა და თანამდებობის პირთა საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობა

ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და თანამდებობის პირების საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის განხორციელების ზომები და წესი განისაზღვრება ამ კანონით და „ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების საქმიანობის სახელმწიფო ზედამხედველობის შესახებ“ საქართველოს კანონით.“.

20. კანონის 66-ე მუხლის მე-4 პუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„4. თვითმმართველი ერთეულების ადმინისტრაციული საზღვრების ამსახველი სქემატური რუკები მომზადდეს საჯარო სამართლის იურიდიული პირის - „საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს“ მიერ, არა უგვიანეს 2010 წლის 1 ნოემბრისა.“.

მუხლი 2.

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი

მიხეილ სააკაშვილი